

ნუსხა

დანართი

#1.8

სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავალი“ - ს ფარგლებში მრავალწლიანი კულტურების

ბალის გაშენების მიზნით დაფინანსების მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი

- შევსებული განაცხადი;
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში);
- რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (კოოპერატივის შემთხვევაში);
- პირადობის მოწმობის ასლი (იურიდიული პირის შემთხვევაში - დირექტორის/პასუხისმგებელი პირის; ფიზიკური პირის შემთხვევაში - ნაკვეთის მფლობელისა და პასუხისმგებელი პირის);
- სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ გაცემული ცნობა განაცხადით გათვალისწინებული ყველა მრავალწლიანი კულტურისათვის ნაკვეთის ნიადაგის ვარგისიანობისა და შესაბამისობის შესახებ;
- მიწის ნაკვეთის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო რუკა), იჯარის შემთხვევაში ამონაწერთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს იჯარის ხელშეკრულება;
- ცნობა მიწის ნაკვეთის დამუშავების შესახებ, გაცემული შესაბამისი მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს რეგიონული სამსახურის მიერ;
- ნერგების შესყიდვის ინვოისი ან/და ხელშეკრულება ქართულ ენაზე/ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:
 - ✓ ნერგების რაოდენობა;
 - ✓ თითოეული ნერგის ფასი;
 - ✓ ჯამურად ნერგების ღირებულება;
 - ✓ ნერგის მახასიათებლები;
 - ✓ მიწოდების პირობები;
 - ✓ გამყიდველის საბანკო რეკვიზიტები;
- შესასყიდი სარწყავი სისტემის (წვეთოვანი ირიგაცია, სპრინკლერ-ირიგაცია) ინვოისები ან/და ხელშეკრულება ქართულ ენაზე/ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე;
- პოტენციური ბენეფიციარის მიერ საკუთარი ნერგების გაშენების შემთხვევაში სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ გაცემული ცნობა ნერგების/ბენეფიციარის სანერგე მეურნეობის კვალიფიციურობის შესახებ;
- ბენეფიციარის საბანკო რეკვიზიტები;

ნუსხა

დანართი

#1.8

- შესასყიდი შუა და საყრდენი ბოძების ინვოისი ან ხელშეკრულება ქართულ ენაზე/ ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე (იმ შემთხვევაში თუ პოტენციურ ბენეფიციარს სურს დაუფინანსდეს შუა და საყრდენი ბოძები);
- შესასყიდი სეტყვის საწინააღმდეგო ბადეების ინვოისები ან ხელშეკრულება ქართულ ენაზე/ ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე (იმ შემთხვევაში თუ პოტენციურ ბენეფიციარს სურს დაუფინანსდეს სეტყვის საწინააღმდეგო ბადეების მოწყობის ღირებულება).